



**„ალიონი“.** 9 დეკემბერს, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა.

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა მარია ნაცვალაძემ მუნიციპალიტეტის 2015 წლის

ბიუჯეტში ცვლილებები და დამატებები წარმოადგინა.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №45 დადგენილების შესაბამისად დამტკიცებულ ბიუჯეტში შემდეგი ცვლილებები განხორციელდა:

ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში გაიზარდა 146,1 ათასი ლარით; შემოსავლების კლასიფიკაციის კოდი 113 - გადასახადი ქონებაზე -135 ათასი ლარით;

შემოსავლების კლასიფიკაციის კოდი 311-შემოსულობა არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან - 11,1 ათასი ლარით.

ბიუჯეტის ხარჯვით



**ალიონი.** 10 დეკემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მზარდ ინფრასტრუქტურას კიდევ ერთი და ჯერჯერობით ყველაზე დიდი ობიექტი შეემატა, ექსპუატაციაში შევიდა სოფელ მერიის დაბა ლაითურთან დამაკავშირებელი, 150 მეტრი სიგრძის საავტომობილო ხიდი. მერია-ნატანების ადგილობრივი მნიშვნელობის გზაზე, მდინარე ნატანებზე ახალგაშენებული ხიდი, საზოგადოებრიობის თანდასწრებით, საზეიმო ვითარებაში გახსნეს გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ და ოზურ-



გეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით ღარჩიამ.

**გია სალუქვაძე:** „ამ ხიდის აგება ჩვენთვის ძალიან

მნიშვნელოვანი იყო. მაღალსაბურთალოს თემის მშენებლებს, რომლებმაც ყველაფერი იღონეს,



# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!


საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. **წამყვანი გაზეთი**  
 შოთაბატონი გამომცემი. №49 (10139), 14 დეკემბერი, 2015 წ. შპსი 50 თეთრი.

გაზეთი გამომდის 1931 წლის 5 იანვრიდან

## ქალაქ ოზურგეთში ინფრასტრუქტურული პროექტები ბრძოლა

**ალიონი.** ბევლარ სიორიძემ ქალაქის ყველა უბანში მიმდინარე სამუშაოები პირადად მოინახულა. დასასრულს უახლოვდება მდინარე შკვარა-შკურაზე გაბიონის მოწყობის სამუშაოები, რომელიც თაყაიშვილის ქუჩის მცხოვრებთა პრობლემას მდინარის ადიდებებსა და ნაპირიდან გადმოსვლასთან დაკავშირებით საბოლოოდ გადაჭრის. ქალაქის სხვადასხვა უბანში მიმდინარეობს გზების ორბული შეკეთება. სამუშაოები იმ ქუჩებზე ხორციელდება, სადაც 2015 წელს გზის კაპიტალური რეაბილიტაცია ვერ მოხერხდა. აღნიშნულ ქუჩებზე მოქალაქეთა უსაფრთხო მგზავრობის მიზნით დაზიანებული მონაკვეთები შეკეთდება, ხოლო სრული რეაბილიტაციის პროცესს ქალაქის მერია უკვე მომავალ წელს დაიწყებს.

„წელს გზის რეაბილიტაციის კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები განვახორციელეთ. დავაგეთ საკმაოდ ბევრი ქუჩა, თუმცა ქალაქში ჯერ კიდევ გვაქვს ამორტიზებული გზები, რომელთა დაგეგმვა მომავალი წლისთვის დაგეგმეთ. მინდა, ჩემი მერობის პერიოდის დასრულებამდე ყველა ქუჩა, როგორც ცენტრალურ ნაწილში, ასევე გარეუბანში, მოწესრიგებული და ხარისხიანად რეაბილიტირებული იყოს. სწორედ ხარისხია ის მიზანი, რის გამოც ქალაქში მიმდინარე ყველა სამუშაოს პირადად ვეცნობი. ბიუჯეტი, რომელიც მოქალაქეთა თანხით დგება, უხარისხო სამუშაოებზე არ უნდა დახარჯდეს.“ - განაცხადა ბევლარ სიორიძემ სამუშაოების გაცნობისას.



## „ღმისთვის ქვეყანაში მოქმედ ტყვის სადნობ მცირე საწარმოებში გზადდება კალზე დაბალი ხარისხის ტყვის სადნობი, ხოლო მათ მუშაობასთან დაკავშირებული ბარემოს დაბინძურების რისკი მაღალია“

**ნუზარ ასათიანი** (გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ალიონი“, №47,48)

გაზეთი „ალიონი“ განაგრძობს ჟურნალისტურ კვლევას შპს „ჯეოგადამამუშავებლის“ მიერ ქალაქ ოზურგეთში, თაყაიშვილის ქუჩაზე, მჭიდროდ დასახლებულ უბანში ტყვის გადამამუშავებელი საწარმოს პროექტთან დაკავშირებით საზოგადოების პოზიციისა და სპეციალისტების დამოკიდებულების შესახებ.

თავდაპირველად, ორიოდე სიტყვით, თუ როგორ მოექცა ქალაქის ეს ტერიტორია სოფელ ლიხაურის შემადგენლობაში.

ეს მიწები ოდითგან სოფელ ექადაის ეკუთვნოდა, რომელიც შემდეგ შევიდა ქალაქ ოზურგეთის შემადგენლობაში. 60-იან წლებში მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობისას 5 ჰექტარი მიწა ექადაის კოლმეურნეობას ჩამოაჭრეს და მეფრინველეობის გაერთიანებას გადასცეს. მდინარე აჭისწყლის არხის გაღმა ტერიტორია, ექადაელთა მიმდებარე სახნავ-სათესი ფართობითურთ, 1986 წელს ქარხნის გახსნისას და შემდეგ მიწის რეფორმისას ქალაქის ტერიტორიას ეკუთვნოდა. სოფელ ლიხაურზე გადაცემა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მოხდა იმ მოტივით, რომ სოფელ ლიხაურის საკრებულოს გადასახადებიდან ანარ-



იცხი ჩაერიცხებოდა, ახლა კი მანიპულირებენ, თითქოს სოფლის ტერიტორიაა... სოფლის, რომელიც ქალაქზე არანაკლებ მჭიდროდაა დასახლებული.

**„შპს „ჯეოგადამამუშავებლის“ მიერ ოზურგეთში აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის უზსახე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო, იურიდიულ საქმეთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე:** „მე თავართქილაძის ქუჩაზე ვცხოვრობ (ყოფილი

**ამ განხილვაში, იმ დროს, რომორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის იმჟამინდელი მთავარი სამხატვრო მხარის მხარის საპროცედურო, იურიდიულ საქმეთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე:** „მე თავართქილაძის ქუჩაზე ვცხოვრობ (ყოფილი

თაყაიშვილის ქუჩის შესახებ), მანქანათმშენებელი ქარხნიდან 300 მეტრის დაცილებით. უკვე მესამე წელია მესმის, ქარხნის მეპატრონეები ღამით ტყვიას კუსტარულად აღნობენ, რომ ღამით, როცა მანქანათმშენებელი ქარხანაში ტყვიას აღნობდნენ, სუნთქვა გვიჭირსო. ეს განსაკუთრებით შარშან შემოდგომაზე, ოქტომბერ-ნოემბერში იგრძნობოდა.

ახლა, როგორც დეპუტატს, მაქვს სურვილი ვნახო, რა ხდება შპს „მანსაროვის“



### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავი ფერადი გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- ახალი წლიდან აღიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორმაგად
- საგადასახადო ფასი: 50 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2 ლარი, სამი თვით - 6 ლარი, 6 თვით - 12 ლარი, ერთი წლით - 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციამ აუდიონანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაგვლა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო მომსახურების**  
რედაქციის  
**ნუგზარ ასათიანი**  
nugzarasatiani@rambler.ru  
558 499100  
საინფორმაციო სამსახურის  
ხელმძღვანელი  
**თემურ მარშანიშვილი**  
tem52@mail.ru  
599 373515  
კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**გიორგი გოგოლაძე**  
gia\_77@mail.ru  
551 576060  
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ. №3  
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“  
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

### ქვეყნისათვის უფიქროსი ლაითურის ახალი საავტომობილო ხიდი



რათა ხარისხიანად და დადგენილ ვადებში შეესრულებინათ მათზე დაკისრებული უაღრესად საპასუხისმგებლო საქმე. ეს ხიდი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით აშენდა. ვულოცავ ადგილობრივ მოსახლეობას ამ დიდ ინფრასტრუქტურულ შენაძენს.  
**მერაბ ჭანუყვაძე:** „ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი იყო, რომლის ხორცშესხმას რამდენიმე წლის განმავლობაში ელოდებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა. ამ გზის ეს რთული მონაკვეთი დიდ დაბრკოლებას უქმნიდა ადგილობრივებს. მადლობას ვუხდის საქართველოს მთავრობას, ინფრასტრუქტურის სამინისტროს და ყველას, ვინც ჩართული იყო სოფელ მერიისა და დაბა ლაითურისათვის ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარებაში.“

მხოლოდ ლაითურისა და მერიისათვის. ამიტომ ვულოცავ მუნიციპალიტეტის ყველა მცხოვრებს, მათ ვინც ფიქრობს და იღვწის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სვალინდელი დღისთვის. გაისადაც ვაპირებთ მსგავსი პროექტების განხორციელებას, რადგან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტის ინფრასტრუქტურაზე იქნება ორიენტირებული.“

**დავით დარჩია:** „უდავოდ დიდი საქმე გაკეთდა. ეს ხიდი სტრატეგიული დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტია არა

მერი-ლაითურის ახალი საავტომობილო ხიდი მუნიციპალიტეტის ორ დიდ ტერიტორიულ ერთეულს, დაბა ლაითურსა და სოფელ მერიას ქალაქ ოზურგეთთან აკავშირებს, რასაც აქაური მოსახლეობისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, 150 მეტრი სიგრძის, რკინა-ბეტონის, ორმხრივ-ომრიაობიანი ობიექტის მშენებლობაზე 2 484 000 ლარი დაიხარჯა რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან.

### მულტიკულტურული კავშირი ოზურგეთში



**ალიონი.** 7 დეკემბერს „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ოფისში შედგა მულტიკულტურული კავშირი „რვას+1-ის“ პრეზენტაცია. ფინანსური მხარდაჭერა მშვიდობის კორპუსი და ორგანიზაცია „პური მსოფლიოსთვის“  
როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, „რვას+1-ის“ მიზანია სამუშაო ადგილების შექმნა 18-25 წლამდე ახალგაზრდებისათვის, ასევე, საზოგადოებისთვის მსოფლიოს სხვადასხვა

კულტურისა და ტრადიციის გაცნობა.  
შეხვედრაზე დამსწრეებს შესაძლებლობა მიეცათ, გაცნობოდნენ კავშირის მიზნებს, დაეგეგმონ მათი კავშირის მენიუთი შეთავაზებული დესერტები და ცხელი სასმელები (ყავა, ჩაი).  
აქვე მშვიდობის კორპუსის ამერიკელი მოხალისე კოლტონ ჰიტმა გააკეთა მოკლე მიმოხილვა ამერიკის ისტორიისა და ტრადიციების შესახებ.

### ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია 60 უბინაო მოქალაქეს საცხოვრებელ ფართს ახალ წელს გადასცემს

უსახლკართო თავშესაფარის სარე- მონტო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება.  
სამუშაოები ქალაქ ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძემ და საკრებულოს დეპუტატებმა მონაწილეობის მიხედვით განაწილეს.  
ქალაქის მერის განცხადებით, ის მოქალაქეები, რომელთაც სოფლებში საცხოვრებელი სახლი აქვთ, ფართით ვერ დაკმაყოფილებიან. ე. წ. უსახლკართო თავშესაფარი მხოლოდ ქალაქში რე-

ისტორიულ მოქალაქეებზე გათვალისწინებული. გარემონტებული ფართი სულაღობის მიხედვით განაწილდება.  
„თავშესაფარის დათვალეობის შემდეგ შემსრულებლებს მცირედი შენიშვნები მივეცი. მშენებლები გათვალისწინებენ იმ შენიშვნებს, რაც აღმოვაჩინე. 20 დეკემბრისთვის სარემონტო სამუშაოები დასრულებული იქნება და მობინადრეები ახალ წელს ახალ საცხოვრებელ ფართში შეხვდებიან.“ - განაცხადა ბეგლარ სიორიძემ.



### მანიქელის ეკლესიის ზარი მრავალ უხმობს



**ალიონი.** ვანიქელის წმინდა იოანე ნათლისცემელის სახელობის ტაძარი, ადგილობრივი სამუშაოების შემდეგ, წლიანხვედრის წინ კვლავ ამოქმედდა და აქ მამა ანდრია (მამულიაშვილი) მოღვაწეობს. მონასტერში მრევლი ძირითადად სოფელ მთისპირიდანა და ამ სოფლის შვილები ცდილობენ გვერდით დაუდგნენ მონასტერს პრობლემების გადაჭრაში.  
სოფ. მთისპირის მკვიდრმა, ახალგაზრდა ბიზნესმენმა საკუთარი ხარჯებით თბილისში, ლილოს სურთიომოდერების ცენტრში ჩამოსახმევინა ორი ზარი, რომელიც გასულ პარასკევს, მთისპირელ ტაძარში ეზოში მათ მერ აღმათულ რკინის ხარისაზე ჩამოკიდეს.  
უსაროდათ მთისპირელებს, რომ საუკუნის შემდეგ სოფლის უხველეს ტაძარში კვლავ ახმაინდება ზარი და იგი კვლავ მოუხმობს აქაურთ ისე, როგორც უხმობდა საუკუნეების განმავლობაში. მთიპირელების სისხარულს არაერთი ოზურგეთელი და ლაქარული სტუმარიც იზიარებდა.

### სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ქალაქ-ანასეული“ იქმნება

**ალიონი.** ადინშიური კოოპერატივის მეპაიეები ექვდია-ანასეულის ის მიწათმფლობელები იქნებიან, რომლებმაც მიწის რეფორმებისას ჩაის ფართობები მიიღეს და მის მოვლა-პატრონობას დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ. ეს ფართობები დღეისათვის ვავერანებულია და ინვესტირების გარეშე მათი დამუშავება შეუძლებელია.  
კოოპერატივის შესაქმნელად საინიციატივო ჯგუფს ორგანიზებას ქალაქ ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი ნანული ორაგველიძე უწევს.  
გასულ ხუთშაბათს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სააქტო დარბა-

ში ქალაქ ოზურგეთის საკრებულოსა და თემების მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის სამსახურის სპეციალისტები კოოპერატივის წევრობის მსურველებს შეხვედნენ.  
ნანული ორაგველიძემ შეკრებილთ კოოპერატივის წესდების პროექტი გააცნო. შემდეგ კი აკაკი ლლონტაძე, ნანა მეღაშვილმა კოოპერატივის დაფინანსების წყაროებზე ისაუბრეს.  
შეხვედრას ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე დაესწრო, რომელმაც კოოპერატივის წევრებისადმი თანადგომა გამოხატა.

დაინყეთ ყოველი  
მიზნებითი აციონზე  
«ალიონით»





### სახალხო დამცველის გურიის წარმომადგენლობა ოზურგეთში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე აღნიშნა



**ალიონი.** 10 დეკემბერს სახალხო დამცველის გურიის წარმომადგენლობამ ქალაქ ოზურგეთში „ჭადრების ბაღში“ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე აღნიშნა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ომბუდსმენის სათავე ორგანიზაციის პასუხისმგებელი მუშაკები. სტუმრებმა ოზურგეთელებს გააცნეს სახალხო დამცველის მიზნები და ამოცანები, ესაუბრნენ მათი უფლებების დაცვის აუცილებლობაზე, გადასცეს სახალხო დამცველის მიერ

ქართულ ენაზე გამოცემული შესაბამისი ლიტერატურა, სამახსოვრო საჩუქრები. სახალხო დამცველი (ომბუდსმენი) არის კონსტიტუციური ინსტიტუტი, რომელიც ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, საკუთარი ინიციატივით ან განცხადების/საჩივრის საფუძველზე ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას.

### სადაც კი იღვაწა, ყველგან წარუშლელი კვალი დატოვა



ქუთათელაძეების გვარს რომ თვალი გადაავლო, იმდენი სასიქალო მამულიშვილი ჰყავდა და ჰყავს, მხოლოდ ჩამონათვალი რომ გააკეთო, საგაზეთო წერილი კი არა, 200-გვერდიანი წიგნი ვერ დაიტევს. აწ გარდაცვლილი იოსებ (სოსო) ქუთათელაძე ის პიროვნებაა, რომელმაც ბავშვობიდან სრულ მოწიფულობამდე კაცურად განვლილი ცხოვრებისეული გზით ერთი ლამაზი და საამაყო ფურცელი შემატა თავის დიდებულ გვარს, თავის მშობლიურ დაბა ლაითურს და თავის მშობლიურ ოზურგეთს. უკურნებელმა სენმა შეუშოკლა წუთისოფელი. 5 დეკემბერს 65 წლისა გახდებოდა. იოსებ ქუთათელაძე დაბა ლაითურსში დაიბადა. 1967 წელს აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. 1967-1969 წლებში მუშაობდა ლაითურის მეურნეობის პლანტაციის მუშად. 1969-1971 წლებში მოიხსნა მხედრული ვალი და მშობლიურ დაბაში დაბრუნებულმა მუშაობა დაიწყო ჩაის პლანტაციის ბრიგადირად. 1976 წელს დაუსწრებლად დაამთავრა ღონის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი სწავლული აგრონომის სპეციალობით. 1978-1980 წლებში ხელმძღვანელობდა ლაითურის კომკავშირის კომიტეტს. 1980-1991 წლებში მუშაობდა შს ორგანოებში სხვადასხვა თანამდებობებზე, ჰქონდა

კაპიტნის წოდება. 1991-1994 წლებში იყო მრავალდარგობრივი ფირმა „გოგას“ დირექტორი. 1994-1997 წლებში მუშაობდა ლაითურის აგროსამრეწველო კომბინატის აგრონომად, 1997-2006 წლებში – ფირმა „მარტინ ბაუერის“ მენეჯერად ლაითურში. 2006 წელს კი, დაბა ლაითურის საკრებულომ აირჩია დაბა ლაითურის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად, სადაც იმუშავა საკრებულოს ლიკვიდაციის დღემდე. იოსებ ქუთათელაძემ, სადაც კი იღვაწა, ყველგან თავისი წარუშლელი კვალი დატოვა. იგი იყო კარგი ორგანიზატორი, დაუღალავი, ენერგიული მუშაკი, მშობლიური

## „მზიანი ღამის“ საკითხი „ვეფხისტყაოსანში“



ამ საკითხმა რუსთველოლოგებში დიდი აზრობა სხვადასხვაობა გამოიწვია და საკითხი დღემდე გადაუწყვეტელია, მიუხედავად იმისა, რომ რუსთველი ამ საკითხს ყველასთვის გასაგებად აშბობს. განვიხილოთ „ვეფხისტყაოსნის“ 836-ე სტროფი: „იტყვის“ „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვენ მზიანისა ღამისად, ერთ-არსებისა, ერთისა. მის უჟამოსა უამისად. ვის გმორჩილობენ ციერნი ერთის იოტის

წამისად, ბელსა ნუ მიცვლი, მიაჯე, შეყრამდის ჩემად და მისად!“ მზიან ღამეში რუსთველი ღმერთს რომ გულისხმობს, ეს გასაგებია, მაგრამ მართლმადიდებლური სარწმუნოების მიხედვით, ღმერთი ხომ სამი პირისაგან შედგება: მამა ღმერთი, ძე და სული-წმიდა. ისმის კითხვა, რომელ პირზეა საუბარი. ამის გასარკვევად განვიხილოთ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტროფის პირველი და მეორე ტაეპი: „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა, ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,“ ღმერთისაგან მონაბერი სული სული-წმიდაა. აქედან გამომდინარე, სული-წმიდა დედამიწაზე იმყოფება და მისგან ადამიანები არიან შთაბერილი. რუსთველოლოგი ე. ხინთიბიძე კითხვას სვამს: ზეგარდმო არსნი ანგელოზები ხომ არ არიანო, რაც მცდარი შეკითხვაა. ზეგარდმო ადგილის გარემოებაა და აღნიშნავს მიმართულებას ზევიდან ქვევით. მაშასადამე, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტროფის პირველი და მეორე ტაეპის აზრი ასეთია: ვინც სამყარო

შექმნა (იგულისხმება ღმერთი), მან ცოცხალ არსებებს (იგულისხმება ადამიანები) ზემოდან შთაბერა ზეცით მონაბერი სული, ანუ სული-წმიდა, რომელიც არის ღმერთის მესამე პირი. ამრიგად, მზიან ღამეში რუსთველი გულისხმობს ღმერთის მესამე პირს სული-წმიდას. ისმის კითხვა: რატომ გამოიწვია აზრობა სხვადასხვაობა ცნებამ „მზიანი ღამე“. პასუხი მართლია: 836-ე სტროფის განხილვისას რუსთველოლოგებმა ყურადღება არ მიაქციეს „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტროფის პირველ და მეორე ტაეპს. შეუძლებელი იყო, რუსთველს არ შეეშინა კაცობრიობა თავისი წარმოშობიდანვე მზიან ღამეში რომ ცხოვრობს. ადამიანებს მზე არამარტო ღღისით, არამედ ღამითაც ათბობს. ზოგიერთი შესაძლოა ფიქრობდეს, რომ ადამიანებს ღღისით ტანსაცმელი ათბობს და ღამით – ლოგინი. ტანსაცმელი და ლოგინი მხოლოდ აკავენს ადამიანების მიერ გამოყოფილ სითბოს. მცენარეები აგროვებენ მზის მიერ გამოყოფილ სითბოს, მზის სითბო მცენარეთა ნაყოფშიც გროვდება. მცენარეული საკვების მონელების დროს ხდება საკვებში დაგროვილი სითბოს გამოყოფა. ცხოველები რომლებიც არ იკვებებიან მცენარეული საკვებით, სითბოს გამოყოფენ მცენარეული საკვების მჭამელი ცხოველების

შეჭმითა და მისი მონელებით. ყოველივე ზემოთქმულის გამო, მიიჩნია, რუსთველმა ღვთაების ხატად მზე ყველამ იცის, რომ როცა შემას ვწვავთ, გამოიყოფა მცენარის მიერ დაგროვილი მზის სითბო, ასევე ხდება ქვანახშირის, ტორფის, ნავთობის, ბუნებრივი აირის წვისას, რომლებიც ორგანული წარმოშობისაა. რუსთველის აზრით, ადამიანებმა ცოდვით არ უნდა დაამძიმონ მათში შთაბერილი ღვთაებრივი სული. უცოდველი ადამიანის სული ზეცაში მიდის ღმერთთან, ცოდვილი სული კი ქვესკნელში დაითქება. თინათინი ასე ეუბნება ავთანდილს: „ფიცით ვითხრობ: შენგან კიდე თუ შევიერთო რაცა ქმარი, ზეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი, სრულად მოვსწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი“ (სტრ. 133, ტაეპი – 1,2,3). მრიგად, რუსთველი ამტკიცებს, რომ მზიანი ღამე სული-წმიდაა.

**პასტანაზ ჩხარტიშვილი**

## ზანები

ზანები წინა ქართველური ერთობის დაშლის შემდეგ წარმოშობილ ერთ-ერთ ნათესავს (სპარსულად-ტომი) უწოდებენ. ზანი ამ ქართველური წარმონაქმის სვანური სახელია, რომელსაც გაუძლო ათასწლეულებს და დღესაც არის შემონახული ერთ-ერთი იმერული სოფლის სახელწოდებაში – „საზანი“. ზანთა ქართული სახელი გახლავთ „კოლაელი“, რომელიც მტკვრის სათავეში მდებარე კოლას ქვეყნის სახელისგან წარმოდგება. იმავე კოლას ქვეყნიდან წარმოდგა ზანთა ურარტულ-ხურთული სახელიც – „კულხა“, რომელიც შემდეგ ფართოდ გაავრცელდა. ძველმა ბერძნებმა ის შეითვისეს და „კოლხი-დას“ ფორმაც მიცეს.

ეს სახელწოდება მოგვიანებით მწიგნობრივ გზით ჩვენშიც შემოვიდა და დასავლეთ საქართველოს აღსანიშნავად იქცა. ბერძნული „კოლხიდა“ ქართულ ხალხურ სასიძლერო ლექსებშიც იხსენიება. ერთ-ერთ ასეთ ლექსში, რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებშია შექმნილი, ნათქვამია: წყალში ხნავდნენ, წყალში თესდნენ, წყალს მიჰქონდა მათი რთველი, სანამ ოდას დახურავდნენ, დალპებოდა საძირკველი. შემა ცეცხლში არ იწვოდა და ნაყოფში იდგა ხაშში, ასე იყო ჭაობები, აშმორებულ კოლხიდაში... ამ სახელს რომაელებიც კარგად იცნობდნენ და ხშირად იხსენიებდნენ თავიანთ

ნაწერებში. ზანებმა დროთა განმავლობაში თვით სახელიც – „კოლარჯი“-ც შექმნეს „კოლაელზე“ დაყრდნობით. ამ სახელით იწოდა ზანთა გვიანდელი სამკვიდრო კლარჯეთი (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში). კლარჯეთის ქვეყანას ჩრდილო-აღმოსავლეთით ადრე აჭარა ესაზღვრებოდა, სამხრეთით – არსიანის ქედი, სამხრეთ-დასავლეთით – ამიერ-ტაო, ხოლო დასავლეთით – შავი ზღვა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (კლარჯეთი) ზანებმა დიდად იღვაწეს და სხვა ნათესავეებთან ერთად ჭორხის მსოფლიო სახელის მებტალურული ცენტრი შექმნეს. უფრო გვიან ზანთა შთამომავლებმაც

(ჭანები, ლაზები) დაუვიწყარი მუშაობა გასწიეს. ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში დასავლეთ საქართველოში წარმატებით იღვწოდა ლაზთა სამთავრო, რომელიც მეოთხე საუკუნეში სამეფოდ იქცა და მე-8 საუკუნემდე იარსება. ლაზთა სამეფოს დაცემის შემდეგ ერთი მეორის მიყოლებით წამოიზარდნენ გურია, ფერსათი, არგვეთი, მუხურისი, ოდიში და სხვა ახალი ქვეყნები. ერთხანს ეს ქვეყნები აფხაზთა მეფეებმა დაიკავეს, ხოლო შემდეგ (მე-10 საუკუნის 70-იანი წლებიდან) გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში შევიდნენ. **იური სისარულიძე**, პროფესორი.

## გამოკანონი

## ეს სუთი და სხვა პრაკალი

ჩვენმა მეგობარმა, პედაგოგმა და პოეტმა ნოდარ დონაძემ კიდევ ერთხელ გაგვანახარა და თავისი ლიტერატურული შემოქმედების მაღალ გვაზიარა. ახლახან მან „ქარვისფერი ლექსებით დახუნძლული“, თავისი მეხუთე წიგნი „იმედი - სულის ჯავარი“ აჩუქა ქართული პოეზიის მოყვარულებს. ვულოცავთ და მომავალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ მას.

ნოდარ დონაძე სადა, ფაქიზი, პატრიოტიზმის გრძობით, სიყვარულითა და სითბოთი გაკვირებული, რითმით მდიდარი ლექსების ავტორია. იგი ყველა კეთილი საქმისა და წამოწყების მხარშიდგობდა. ძალიან საინტერესო და სასიამოვნოა მასთან საუბარი ლიტერატურისა და ხელოვნების, ახალგაზრდობის სწავლა-განათლების, ზნეობისა და მორალის, პატრიოტიზმისა და ქვეყნის წინაშე მდგარ საჭირობოთი საკითხებზე.

ბატონი ნოდარ დონაძის შემოქმედებაში განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანია მისი წიგნი „თხინვალი და თხინვალელები“, რომელიც მან გამოჩინილ ქართველ მწერალ, აწ გარდაცვლილ გიორგი კეჭაყმაძესთან ერთად გამოაქვეყნა. კარგი იქნება თუ მათ მიმართ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული სხვა პიროვნებები და გამოაქვეყნებენ ნარკვევებს საკუთარი სოფლისა და ლირიული თანასოფლელების შესახებ.

ნოდარ დონაძის შთამომავლობასა და ნაცნობ-მეგობრებს დამსახურებულად შევუძლია ვიამაყოთ მისი სახელითა და შემოქმედებითი მიღწევებით. განსაკუთრებით აღნიშნვის ღირსია უფროსი ნოდარ დონაძის დამსახურება მისი სეხნის, უმცროსი ნოდარ დონაძის კარგ ქართველ მოძღვრულ ჩამოყალიბებაში, რომელსაც ბრწყინვალე შემოქმედებით წარმატებას უწინასწარმეტყველებენ საქცილისტები. ბაბუის მიერ შეილიშვილისადმი უანგაროდ მიძღვნილი უდიდესი სითბოს, სიყვარულისა და ზრუნვის უშუალო თვითმხილველი, მის აღზრდელ-მასწავლებელ, ლოტბარ ჯემალ ჭელიძესთან ერთად, მეც გახლავართ.

ბატონი ნოდარ! ეს სუთი და სხვა პრაკალი!

მინდა, რომ დიდხანს შეძლოთ, შეუძახოთ საქართველოს მომავალს: ახსოვდეთ, ვისი გორისანი არიან! ღმერთმა დალოცოს ყველა ის ადამიანი, ვინც თქვენ გიყვართ და მიგაჩნიათ, ვისაც თქვენ ალალ გამარჯობას უხვებით და პოეტურ პაწარედებს უძღვებით, ვინც თქვენი მსმენელი და მკითხველია.

ომარ ბაპუშრაძე,

ქართული პოეზიის მოყვარული

## ბაცვლითი პროგრამით გერმანიაში

ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის გურის რეგიონული კომიტეტის ახალგაზრდული ფრთა ახორციელებს ახორციელებს პროექტს „ვისწავლობთ არა სწავლისთვის, არამედ ცხოვრებისთვის“. მისი მხარდაჭერა გერმანული ფონდი „ფილია“, სწორედ ამ ფონდის მიწვევით პროექტის ერთ ერთი მონაწილე ანანო სამსონია რამდენიმე ქართველ გოგონასთან ერთად ნოემბერში გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა ბერლინში.

ვიზიტი ბერლინში ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ჩვენი მასპინძელი იყო ქალთა ფონდი „ფილია“. შეხვედი და გავიცანი ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები. საინტერესოა, ყველა ორგანიზაცია სხვადასხვა საქმეს აკეთებს. ზოგი ფსიქოლოგიურად ეხმარება ძალადობის მსხვერპლ ქალებს, ზოგი მათ თავშესაფარზე ზრუნავს, ზოგი მათ პრობლემებს ასაჯაროებს ისე, რომ მათი ვინაობა ანონიმური რჩება.

ასეთებია: ქალთა კონსულტაციის ცენტრი გოგონათა ცენტრი, ქალთა უფლებების ცენტრი და სხვა. მათთან შეხვედრებით მე ბევრი რამ შევისწავლე მნიშვნელოვან შეხვედრებთან ერთად, გვქონდა დრო, მოგვეჩვენებინა ბერლინის კედელი. მოვის-



მინე ისტორია ბერლინის კედელზე იმ ადამიანისგან, რომლისთვისაც ეს ისტორია ძალიან მძიმეა. ასევე დავათვალიერეთ ქალაქის ღირსშესანიშნაობები. ვიყავით გოგონათა ცენტრში, სადაც გავიცანი გერმანული ბავშვები, მათ ჩავგიტარეს ჰიპ-ჰოპ-ის გაკეთილი. მათთან ურთიერთობამ დამაფიქრა ბევრ რამეზე, გამიჩნდა სურვილი, ბევრ პროექტში მივიღო მონაწილეობა და ვიბრძოლო ქალთა უფლებების დასაცავად.

გვქონდა საინტერესო გახმაბი „ფილიას“ გოგონებთან, მათ გავუზიარეთ შთაბეჭდილებები, რომლებიც ბერლინში ყოფნის დროს დაგვიფორვდა...

დადა დღე ჩვენი პროექტის პრეზენტაციისთვის, მასზე ბევრი სურვილი იყო მოწვეული. ძალიან ვერვინ-ულობდი, თუმცა პრეზენტაციამ კარგად ჩაიარა, ბევრი აპლოდიშმენტი მივიღე, ბევრს ცრემლიც კი მოაღდა ჩემ მიერ მოთხოვნილ ისტორიებზე. წარმატებები მისურვებს, რამდენიმე სავიზიტო ბარათიც დამიტოვა. გერმანული ხალხისგან დიდი სიბოლო მივიღე...

ვიზიტი ბერლინში ჩემს ცხოვრებაში დარჩება ერთ-ერთ საუკეთესო მოგონებად. ვისურვებდი, საქართველოშიც ბევრი უფლებდამცველი იყოს, მინდა ყველამ გაიგოს, რომ ქალი არ არის ნივთი, რომელსაც სადაც გინდა და როგორც გინდა ისე მოქცედი დიდი მაძლობა ქ-ნ მათა ბერიძეს. რომლის დამხარებითაც მე ამ პროექტში მოხვდი, ასევე მაძლობას ვუხდი „ქალთა ფონდს საქართველოში“ და ფონდ „ფილიას“, რომ მოგვეცა ამ პროექტის განხორციელების საშუალება. მაძლობა ჩვენს თარჯიშანს რუსუდნ ლუღუშაურს, რომელიც აეროპორტში დაგვხვდა და ბოლო წუთამდე ჩვენს გვერდით იყო. ამ პროექტმა მე ბედნიერება მარჯა.

ანა სამსონია

## სკანვორდი

			← ვაჭი						↗ ↘	↖ ↗				↖ ↗	ქალაქი იმერეთში	
		საგრაფო ჩრდილო-დასავლეთში									გადასაადგილებელი საშუალება	მეფე	სასულიერო აკადემია			
					სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში									გამაფხულის ყვავილი		
					ისტორიული ოლქი ესპანეთში		მუსიკალური ისტორიული მემკვიდრეობა									
													.....	თუთაშხია	ღიას	
		პაგიორგრაფიული ქანრი								გამაფხულის თანხმობა	ნავსადგური					
			თვითმფრინავის კიბე	ხეხილი			ცურვის სტილი			ნორვეგიის დედაქალაქი						პირდაპირი (ტელევიზიაში)
					ციგრუსის საძირე		ძვირის ანტიპოდი			სასკოლო ინვენტარი						
		ციხის საწოლი		კუჭ-ნაწლავის დაავადება		გარეული ცხოველი			.....	ანრი	მარტოხელა	სოფელი სვანეთში				
		ლოცვის დასასრულს სათქმელი სიტყვა		დედამიწის ღმერთი		ევროპის და ამიის გამყოფი ქელი							რელიგია			
					იაპონური გურბინის გამოშვონება											
	მურგის ტვინის ანთება									ფერი						
						ივანიშვილის ვაჭი	ნაღმრობის ქალღმერთი						დაბა მესტიასში			სხვის ბუღეში კვერცხის მღებელი

## №48-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ერნესტ ჰემინგუეი; ბავშვების საყვარელი კანფეტი — ირისი; ძიულოს ჩოხა — კიმიონო; სოლო ოპერაში — არია; პატარა ჩიტი — ჩიორა; ნაცია — ერი; ბრტყელდინგა ნიანგი — კაიმანი; სასიმიდე — ნალია; პირველი პირის ნაცვალსახელი — მე; ნიგვზიანი ტკბილეული — გოზინაყი; მეცნიერების დარგი — ქიმიკა; არგენტინელი ფეხბურთელი — კემპესი; შენ მგერულად — სი; ფილიაქა — სანაყი; გერმანული საკერავი მანქანა — ზინგერი; შორისდებული — აუ; ფიცი ზენარაი; უბანი ოზურგეთში — სერი; ცხიმი — ერბო; იდეა — არსი; მართლმადიდებლური დღესასწაული — შობა; სამკურნალო მცენარე — კატაბალახა; მდინარე არგენტინაში — ჩუბუტი; მთის მდინარის თევზი — კალმახი; სამზრეუბიანი ჩანთა — აბგა; ქალის სახელი — ესმა; ბოსტნეული მცენარე — კამა; ქალ-ვაჭის ერთად წოლის ჩვეულება — სწორფრობა; შხამიანი მწერი — ბობა; შეძახილი — ოხ; გულდრონი — ფისი; ინგლისური საფეხბურთო კლუბი — ტოტენჰემი; ბუვიეს რომანი — იხა; პურის მოსავლის აღება — მკა; საყანდ გაკაფული ტყე — ახო; განთიადი — აისი; მეფის მსახური — მეითარი.



# წმინდა ბარბარეს!

უფლის სიყვარული, მისთვის თავდადება, პირად ცხოვრებას და შენს ბედს ანაცვალე. საკუთარი რწმენა, მტკიცე ნებისყოფით, არვის ნებასა და სურვილზე არ გაცვალე.

ქრისტეს უერთგულე, მისი დიდებისთვის, სოფლის სიამენი დაუტევე განზე, დათმე ყველაფერი, რაც კი რამ კარგია და რაც ძვირფასია ამა ქვეყანაზე.

აქ ნეტარებაზე, უზრუნველ ცხოვრებაზე, დედობის სურვილზე, უარი თქვი ყველაზე. არც კი შეგენანა ყმაწვილი ქალობა, მშვენება ხორციელი, ღვთიური სილამაზე.

ვერ დაგამონეს სიტყვებით ტკბილით, ვერ შეგამინეს მუქარით, რისხვით, ვერც ჯვალათური წამებისაგან მიყენებული წყლოვებით, სისხლით.

სამება მართავს სამყაროს! - იყო პასუხი შენი, მამა-ძე და სული წმიდა, - არ სცან დანარჩენი. ეს არის ჭეშმარიტი გზა და სულის გადამრჩენი, მასვე გვასწავლის უფალი, სარწმუნოება ჩვენი.

მამინ აღსრულდა მშობლის სასტიკი განაჩენი. მას განზრახვაზე ვერავინ ვერ შეუშალა ხელი. განრისხებულმა მამამ შური იძია შვილზე, მახვილი ზეადმართა უმანკო ქალიშვილზე....

**ნანა ჯანსოთელი.**

# ავტომობილები განვადებით



## ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცედენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№11ა.

# „წინა კაცი - უკანას ხილია“



**ალიონი.** ასე ეწოდებოდა თეატრალურ დადგმას, რომელიც საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს საძმრევლო სკოლაში განახორციელა ნიჭიერმა რეჟისორმა ქეთევან მახინაშვილმა.

სამრევლოს სკოლის მე-7 „ბ“ კლასისი მოსწავლეები დარბაზში შეკრებილი საზოგადოების წინაშე ბერიკების სცენით წარდგნენ, რომლებიც ხალხში სიბრძნეს დაეძებდნენ. შემდეგ „დარისპანის გასაჭირის“ დროში ჩასახლდნენ. დათა თორიას დარისპანი ოზურგეთის თეატრის სცენასაც კი დაამშვებდა. დარისპანს მოჰყვა „ყვარყვარე თუთაბერი“ და ციციკორე. ბოლოს კი პატარა მსახიობებმა ნოდარ ლუმბაძის გმირების სითბოთი აავსეს მაყურებელი. ყველა სცენის შემდეგ

ისმოდა „წინა კაცი, უკანას ხილია“. სპექტაკლის დასრულების შემდეგ თავიანთი დადებითი განწყობა გამოხატეს შემოქმედელმა მიტროპოლიტმა, მუუფე იოსებმა, დამსწრე სამღვდლოებამ.

მე-7 „ბ“ კლასის დამრიგებელმა ნინო ვახრამოვა გაზეთ „ალიონთან“ აღნიშნა, რომ სპექტაკლში მთელი კლასი იღებდა მონაწილეობას. რეპეტიციებზე ისწავლეს ერთმანეთის თანადგომა და სიყვარული.

ჩვენ გვინდოდა ამ სპექტაკლით მაყურებლებისთვის გვეთქვა, რომ ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ გასაჭირში. ჩვენი გმირები იყვნენ საქართველო და ხალხი. წინა კაცი მუდამ უკანას ხიდი უნდა იყოს - გვითხრეს მოსწავლეებმა.

# „სიხარულიძის სასიხარულო გამოფენა ღია ცის ქვეშ“

**ალიონი.** 11 დეკემბერს სოფელ ცხემლისხილში, გიორგი სალუქვაძის სახლ-მუზეუმის ეზოში, ღია ცის ქვეშ, კლასიკური მუსიკის ფონზე, აქაური მხატვარ მანანა სიხარულიძის პერსონალური გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. გამოფენილმა დეკორატიული ხელოვნების ნიმუშებმა დამთვალიერებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. შესაბამისად, შთაბეჭდილებების წიგნის მრავალი ფურცელიც ემოციური ჩანაწერებით შეივსო.



მანანა სიხარულიძე ცხემლისხილელი ხელოვანია. რატომღაც მოხდა ისე, რომ მისი პირველი პერსონალური გამოფენა აჭარის დელაქალაქში გაიმართა, ეს იყო წლეულს, ივნისში. მამინ მანანა სიხარულიძის შემოქმედებაზე თითქმის მთელი ბათუმი აღაპარაკდა.

მხატვარი ქალი ახლა თავისი შემოქმედების ზენიტშია. მომავალი წლის თებერვლის დასაწყისში იგი თავის ნამუშევრებს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ქალაქ მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში გამოფენს.

# „მერცხალის“ მორიგი მარცხი

**ალიონი.** ოზურგეთის „მერცხალი“ პირველი წრის ბოლოსწინა მატჩში შინ „ოდიში 1919-ს“ შეხვდა. ეს მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა.

ბოლო, მე-17 ტურში, „მერცხალი“ გასვლით მატჩში „ჭიათურას“ შეხვდა. მასპინძლები თავდაპირველად მატჩს (4:0) იგებდნენ. მეორე ტაიმში ოზურგ-

ეთელები გააქტიურდნენ და საბოლოოდ 3:5 დამარცხდნენ.

პირველი წრის შეხვედრების დასრულების შემდეგ აუტსაიდერთა ხუთეული ასე გამოიყურება: „ჭიათურა“, „ჩხერიმელა“, „ოდიში 1919“ -16-16 ქულა; „ალგეთი“-15 ქულა; „მერცხალი“ (2 მოგება, 5 ფრე, 10 წაგება)-11 ქულა.

# 7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +2+11 14 დეკემბერი ორშაბათი	მცირე თოვლი +2+7 15 დეკემბერი სამშაბათი	მზე, ღრუბელი +2+7 16 დეკემბერი ოთხშაბათი	მცირე თოვლი +4+7 17 დეკემბერი ხუთშაბათი	მზე +4+10 18 დეკემბერი პარასკევი	მზე +7+15 19 დეკემბერი შაბათი	მზე, ღრუბელი +6+14 20 დეკემბერი კვირა
---	--	---	--	---	--	--